

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმით, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის განვითარებას. მოსამართლეთათვის მყარი სოციალური გარანტიების შექმნა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა. ამასთან, სასამართლო რეფორმის აღნიშნული მიმართულება ასასულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში. კერძოდ, ამ უკანასკნელი გეგმის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის მითითებულია მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა 2006-2010 წლებში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მეტი გარანტიების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტი ითვალისწინებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების ზრდას 200 ლარის ოდენობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტით გათვალისწინებული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების ზრდა განხორციელდება საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო, ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

გაუმჯობესდება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სოციალური პირობები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით გადასახადის ან მოსაკრებლის შემოღება, ან მათი შეცვლა არ არის გათვალისწინებული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ წარმოშობს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;
კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები და კახაბერ ანჯაფარიძე ზოდელავა

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები — მურთაზ ზოდელავა და კახაბერ ანჯაფარიძე